23–30 ივნისი, 1994 წ.
№ 19 (10887) • ფასი 50 000 კუპ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## უეფას ვერდიქტი შორს არაა

ელვა-ინფორმაცია

6 და 18 ივლისს მოეწყობა უეფას ტასკ ფორსის კომიტეტის სხდომები, ... ლზეც საბოლოოდ გადაწყდება თუ რამდენი კლუბი მიიღებს საქართველოდან წელს მონაწილეობას ევროტურნირებში და უფლებას დართავენ თუ არა მათ და ეროვნულ ნაკრებს თბილისში გამართონ ოფიციალური საერთაშორისო მატჩები. სფფ-მ ამ სხდომებისათვის უეფაში კარგახანია ყველა საჭირო საბუთი წარადგინა.

უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიურომ ჩვენებს შესთავაზა ამხანაგური მატჩის გამართვა მალტის ეროვნულ ნაკრებთან (თბილისი, 18 ივლისი).

## ეპატიჟებიან არველაძეების ნაცვლად

როგორც შევიტყვეთ, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა თბილისის „დინამოს" მცველმა ბესიკ ბერაძემ და კვიპროსელმა ლეგიონერმა კახი კაჭარავამ მომავალ საფეხბურთო სეზონში ითამაშონ თურქეთის „ტრაბზონსპორში".

## ანა მათნაძე — ევროპის ჩემპიონი

რუმინეთში მიმდინარე 12 წლის მოჭადრაკე გოგონათა პირველობა მოიგო თელაველმა მოსწავლემ ანა მათნაძემ. იგი მიპატიჟებულია მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც ივლისს უნგრეთში გაიმართება.

## პროფესიონალი საქართველოდან

მას შემდეგ, რაც თბილისელი ველოსიპედისტი ვასილ დავიდენკო ესპანეთში წავიდა საცხოვრებლად, არავინ არაფერი იცოდა ხეირიანად მის შესახებ. ერთხანს ხმა გავარდა, რომელილაც ესპანურმა პროფესიულმა კლუბმა აიყვანა და შესაძლოა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოვიდესო. მაგრამ მერე და მერე არსად გამოჩენილა. ყოველ შემთხვევაში ველოსპორტის მოყვარულთა თვალთახედვის არეში არ მოქცეულა.

წლეულს, აპრილში, ესპანეთის ტურის დროს ოსტანკინოს სპორტული გადაცემების პროგრამამ აჩვენა ერთ-ერთი ეტაპის ფრაგმენტი, რომელშიც გამოჩნდა ვასილ დავიდენკო მაისურზე წარწერით — ჯორჯია (საქართველო). ბუნებრივია ამ ფაქტმა დააინტერესა თბილისის ველოსაზოგადოება, მაგრამ, ვინაიდან დავიდენკოს ოჯახის ასავალ-დასავალი (ოჯახი საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა) არავინ იცოდა, ესპანეთის ველოსპორტის ფედერაციასთან დაკავშირება კი ფინანსური მიზეზებით, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი იყო, რაიმე ინფორმაციის მიღება შეუძლებელი გახდა.

ცოტა ხნის წინ კი ლოზანაში მცხოვრებმა ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის (უსი) კოორდინატორმა და ტექნიკური კომისიის თავმჯდომარემ, ჩვენმა თანამემამულემ მირონ ბარამიამ დაურეკა საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის გენერალურ მდივანს შალვა სალარეიშვილს და საქმიანი საუბრის შემდეგ (სხვათა შორის, საქართველოს ფედერაციის ყოველწლიური საწევრო შესატანი საერთაშორისო კავშირში სწორედ მირონ ბარამიამ გადაიხადა) ზოგი რამ ვასილ დავიდენკოზეც აცნობა.

როგორც გაირკვა, დავიდენკო ამჟამად იტალიის პროფესიონალთა სპორტული გუნდის „ნავიგარეს" წევრია და საკუთარი სურვილის თანახმად, სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში საქართველოს ღირსებას იცავს. ოღონდ საქართველოდან ითხოვს ლიცენზიას და განაცხადს, რასაც სულ მალე ოფიციალურად მიიღებს ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი.

მირონ ბარამიამ, ამავე დროს, თბილისელ კოლეგას აცნობა, რომ ვასილ დავიდენკო წლეულს იასპარეზებს როგორც ტრეკზე, ისე გზატკეცილზე. ტრეკზე იგი ჯგუფურ რბოლაში გამოვა (აქ მსოფლიო პირველობას ერთად გაითამაშებენ პროფესიონალებიცა და მოყვარულებიც,) გზატკეცილზე კი გუნდურ შეჯიბრებაში იასპარეზებს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატი ეწყობა სიცილიის ქალაქ პალერმოში, 15-26 აგვისტოს.

# მსოფლიოს XV ჩემპიონატი ფეხბურთში





## დიდი საფეხბურთო ბრძოლა დაიწყო

დაიწყო... დაიწყო წლევანდელი სპორტული სეზონის ყველაზე დიდი, ყველაზე საინტერესო, ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო შეჯიბრება — მსოფლიოს XV ჩემპიონატი ფეხბურთში, რომელმაც ამერიკის შეერთებულ შტატებში 24 ქვეყნის საუკეთესო ნაკრებს მოუყარა თავი — მთელ საერთაშორისო ელიტას.

ამ კოლოსალურ შეჯიბრებას ყველანი მოუთმენლად ველოდით, ყველანი, ვისაც კი რაიმე ინტერესი გააჩნია ამქვეყნად, რა ხდება დღევანდელ ფეხბურთში, ვინ რა არის და რისი პოტენცია გააჩნია, ვინ იქნება ფეხბურთის კვერთხის მფლობელი დედამიწაზე უახლოეს 4 წლის პერიოდში.

შეჯიბრება, უდავოდ, უნიკალურია. ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, დალასის, ვაშინგტონის, სან-ფრანცისკოს, ლოს-ანჯელესისა და სხვა ქალაქების ვეება სტადიონებზე დაძაბული ბატალიები მიმდინარეობს სანუკვარი ოქროს თასის დასაუფლებლად.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჩემპიონატის ფორმულაში გარკვეული რეფორმები მოახდინა. ჯერ ერთი, გამარჯვებისთვის გუნდს 3 ქულა ეძლევა, ფრედ დამთავრებული მატჩისთვის — ერთი, ხოლო წაგების შემთხვევაში, ბოდიში და, — არაფერი. გარდა ამისა, ყოველ თამაშში ნებადართულია სამი ფეხბურთელის შეცვლა: ერთი მეკარის და ორიც მინდვრის მოთამაშისა.

ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიალი ჩიკაგოს „სორვილ ფილდს" სტადიონზე შედგა, რომელიც საგანგებოდ გადააკეთეს ევროპული ფეხბურთისთვის, ურიცხვ მაყურებელს შორის იყვნენ გამოჩენილი პიროვნებები, სახელმწიფოს მეთაურები, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინთონი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები, წარსულის გამოჩენილი ფეხბურთელები და სხვანი და სხვანი. ადრე მოეწყო ფიფას პრეზიდენტის არჩევნები, ეს პოსტი კვლავ ძველ პრეზიდენტს 78 წლის ბრაზილიელ ბიზნესმენს ჟოაო ავილანჟს დარჩა.

დიდებული სანახაობა გახლდათ საზეიმო გახსნა, წმინდა ამერიკული მასშტაბებით, გემოვნებით და გაქანებით. ეს შესანიშნავი ცერემონიალი, ვფიქრობთ, ყველამ იხილა და კარგადაც დაამახსოვრდა.

ბრძოლა რომ უკომპრომისო და ულმობელი იქნებოდა, ამაშინ ყველანი დარწმუნებული ვიყავით და პირველივე ორმა შეხვედრამ ცხადყო, რომ სუსტები მსოფლიო ჩემპიონატზე არ არიან, მათ აქ არაფერი ესაქმებათ, ძალები მეტნაკლებად თანაბარია.

ავიღოთ, თუნდაც, პირველი, სასტარტო მატჩი: გერმანია-ბოლივია. მოგეხსენებათ, სად მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, გამობრძმედილი გერმანია და სად ბოლივია, სამხრეთ ამერიკის მთიანი ტროპიკული მხარე, რომელიც სულ ორჯერ გამოსულა მსოფლიო პირველობათა ფინალურ ეტაპზე და ორჯერვე პირწმინდად წააგო ყველა შეხვედრა. და, აი, ბოლივიელებმა შეუპოვარი, ფიცხელი ბრძოლა შესთავაზეს განთქმულ ჩემპიონებს, რომლებმაც მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში განთქმული იურგენ კლინსმანის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით შეძლეს ეგზომ საჭირო გამარჯვების მოპოვება.

ან, ავიღოთ, ესპანეთისა და კორეის გუნდების შეხვედრა. აქაც პირველ ტაიმში ესპანელები ხელშოცარულები წავიდნენ გასახდელში. შესვენების შემდეგ სალინასმა და გოიკოეჩეამ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი, ეტყობა, გუნდმა ამით საქმე მოთავებულად მიიჩნია, ოდნავ მოუშვა თამაშის სადავეები, კორეელებმა კი ამასობაში დრო იხელთეს, ჯერ ხონ მიუნ ბომ საჯარიმო დარტყმით (რიკოშეტი) გაიტანა პირველი საპასუხო გოლი, მერე კი სე ჩჟუნ ფონმა მეორე ბურთიც მიაყოლა და ესპანელებმა რის ვაინაჩრობით შეინარჩუნეს ფრე — 2-2.

მსოფლიო ჩემპიონატის შეხვედრებს მკაცრად, ძალზე მკაცრად მსაჯობენ არბიტრები, მცირე უხეშობასაც არ პატიობენ არავის. პირველივე მატჩში მინ...



შტეფან ეფენბერგი (გერმანია)

იხ. მე-3 გვ.

## adidas

„ადიდასის" ერთ დროს უძლეველი იმპერია, რომლითაც აგრერიგად ამაყობდნენ გერმანელები, გაოცებული მსოფლიოს თვალწინ დაინგრა! რა მოხდა? რა იყო ასეთი მოულოდნელი აღსასრულის მიზეზი? ამ კითხვებზე ერთობ ორიგინალურ პასუხს იძლევა ჰამბურგის ჟურნალი „შპორტსი".

## აღზევება და დაცემა

ფაბრიკა — ოცნება! ფაბრიკა — სასწაული! ასე წარმოადგენდა ამ დაწესებულებას „ადიდასის" განთქმული მუზეუმი. სპეციალური განათების, სხვადასხვაგვარი ოპტიკური ეფექტის წყალობით მინის ყუთებში მოთავსებული ექსპონატები რაღაც ზღაპრულ, არაამქვეყნიურ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. მუზეუმში თავმოყრილი იყო უნიკალური კოლექცია — სახელოვანი ჩემპიონების სამასამდე წყვილი ფეხსაცმელი, მოჰამედ ალის, ულრიკა მეიფერტის, ფრანც ბეკენბაუერის, სხვათა და სხვათა სპორტული ალჭურვილობა...

ბედის ნამდვილი ირონია იყო, რომ ფირმა, რომელიც სპორტის არნახულ აყვავებასა და პროგრესს ქადაგებდა და თვითონაც აქტიურად მონაწილეობდა ამ საქმეში, ბოლოს და ბოლოს დაიქცა და განადგურდა. ეს უმართავი პროცესი დაიწყო მაშინ, როცა „ადიდასი" ფრანგმა მილიონერმა ბერნარ ტაპიმ შეისყიდა, უფრო სწორად პროცესი უკვე დაწყებული იყო და ტაპიმ, უბრალოდ, ვერ შესძლო მისი შეჩერება. არადა, ფრანგი მილიონერი უდავოდ გარკვეულ რისკზე წავიდა: ნაპოლეონმა ეგვიპტიდან საფრანგეთში მთელი ობელისკი გადაიტანა, ბერნარ ტაპიმ კი — არანაკლებ გრანდიოზული „ადიდასის" იმპერია.

თუმცა... იყო დრო, როცა ყველას პირზე ეკერა მაგიური სიტყვა — „ადიდასი". იმ პერიოდში ოლიმპიურ თამაშებს, არც თუ უსამართლოდ „ადიდასის" საწარმოო დღესასწაულს უწოდებდნენ. ქალაქ ჰერცოგენაურახში იმოსებოდა ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა 80 პროცენტი. შთაბეჭდილება რჩებოდა ისეთი, რომ ცოტაც და მთელი სამყარო „ადიდასის" ტანსაცმელს ჩაიცვამდა. 1948 წლიდან „ადიდასის" ფირმა ათასზე მეტი მსოფლიოს რეკორდის თანაავტორი გახდა.

ჰერცოგენაურახს ახსენებდა ყველა. სამმა ხაზმა ეს ქალაქი უჩვეულოდ პოპულარული გახადა. აქ, 1900 წელს დაიბადა ადოლფ („ადი" დასლერი. 20 წლის იყო, როცა მეწაღეობას მიჰყო ხელი. შემონახულია იმდროინდელი ფოტოებიც: ადი დასლერი თეთრ ელეგანტურ კოსტიუმში ულიმის მუშტარს. გამომეტყველებაზე ეტყობა ყმაწვილს რომ სურს ხალხში გამოსვლა და ამ მიზანს უეჭველად მიაღწევს.

1936 წელს ადიმ პირველი წარმატება მოიპოვა. ჯესი ოუენსმა ოთხი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგო სარბენი ფეხსაცმელებით, რომელსაც ეწერა: „დამზადებულია ჰერცოგენაურახში". მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასლერების ოჯახის ისტორია კლასიკური დრამის სიუჟეტს დაემსგავსა. კონფლიქტის შემდეგ ძმები ადი და რუდოლფი სამუდამოდ გაემიჯნენ ერთმანეთს. ადი მდინარე აურახის მარჯვენა მხარეს დარჩა, რუდოლფი კი მარცხენა ნაპირზე გადავიდა და დააარსა არანაკლებად პოპულარული „პუმა". აქედან მოყოლებული სამყაროც ორ ნაწილად გაიყო: ერთ მხარეს ადიდასისტები იყვნენ, მეორეს — პუმისტები. ასე და ამგვარად, ოჯახური სკანდალი მსოფლიოს ბაზარზე გადავიდა და უნდა ითქვას, უთანხმოებამ (ბოროტი ენები ამბობდნენ, მიზეზი მეუღლეების დაპირისპირება იყოო) გარკვეული პერიოდის მანძილზე ორთავე ფირმას რეკლამის მაგივრობა გაუწია.

მაგრამ პროდუქციას სხვა გზითაც ესაჭიროებოდა პოპულარიზაცია. და აი ფეხბურთელთა 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ადიმ თავის ფალავნად გფრ-ს ნაკრები აირჩია. ალღომ არც ამჯერად უმტყუნა — ფალავანმა მართლაც მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. გფრ-ის გუნდის მაშინდელ გამარჯვებას სპეციალისტები საფეხბურთო სასწაულად მიიჩნევდნენ. ალბათ ამიტომ, ადის კაბინეტი გერმანელი ფეხბურთელების და მათი მწვრთნელის ზეპ ჰერბერგერის, ვეებერთელა პორტრეტებით იყო მოფენილი. „ადიდასის" ფირმას მაშინ ასეთი დევიზი ჰქონდა: „გამარჯვებულებს უყვართ „ადიდასი".

1975 წლისათვის კონცერნი ყოველდღიურად უშვებდა 130 ათას წყვილ სპორტულ ფეხსაცმელს. 10 წლის შემდეგ წარმოების მოცულობამ 280 ათას წყვილს მიაღწია. პარალელურად დაიწყო ტექსტილის წარმოებაც. სწორედ გიგანტომანიით გატაცება იყო ექსპერტთა აზრით, კონცერნის ხელისუფალთა მთავარი შეცდომა. მით უმეტეს, რომ 1978 წელს გარდაიცვალა ადი დასლერი და მართვის სადავეები ხელთ იგდო განსვენებულის მეუღლემ — ფრაუ კეტიმ („კატარინა ბრწყინვალემ"). იგი 1984 წელს ვაჟიშვილმა — ჰორსტმა შეცვალა, მაგრამ ეს უკანასკნელი სამი წლის თავზე, 51 წლის ასაკში, მოულოდნელად გარდაიცვალა.

რამ გამოიწვია კრახი? ზოგიერთების აზრით „ადიდასი" ქვეყანას მოედო და ბოლომდე ვერ გაქაჩა საქმე. მაგალითიც მოჰყავთ ასეთი: დაიწყო ბობსლეისტებისთვის ფეხსაცმელების დამზადება. ეს საქმე 500 ათასი მარკა დაჯდა. არადა, მსოფლიოში ცოტაა ბობსლეისტი და საქონელი, ბუნებრივია, ჩაწვა. მეორე მაგალითი: „ადიდასმა" ავტომობილისტ მარიო ანდრეტის დაუმზადა ფეხსაცმელები, რომელიც ცეცხლს უძლებდა 90 წამის მანძილზე. ეს გამოგონებაც დიდი ფული დაჯდა.

ამ და სხვა უაზრობათა გამო 1987 წელს ფირმას მღელვარების ტალღა მოედო. ჰერცოგენაურახის ქუჩებში 2500-მა კაცმა პროტესტის დემონსტრაცია მოაწყო. მერე დაიწყო სამსახურიდან მასობრივი დათხოვნები, ახალი მღელვარება და ფინანსური კრიზისი. აი სწორედ ამ დროს გამოჩნდა ბერნარ ტაპი...

## ინგა ხურცილავა — „ვერცხლის“ პრიზიორი

ჩეხეთის ქალაქ ლიტომირში გაიმართა 20 წლამდე ახალგაზრდა ... ჭადრაკე გოგონათა ევროპის ჩემპიონატი, რომელმაც 30 მონაწილეს მოუყარა თავი.

წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ინგა ხურცილავამ. მან შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა, ვერცხლის მედალი დაისაკუთრა და საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულა.


### გიწვევთ სასწავლებლად

### საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი ESM-თბილისი აცხადებს მიღებას 1994-1995 სასწავლო წლისათვის.

ESM-თბილისი ამზადებს ფინანსების, მარკეტინგის, საერთაშორისო-კომერციული საქმიანობის მართვის სპეციალისტებს (ESM-International-თან ერთად) და წარმოების მენეჯერს (გფრ-ის ქ. მოსბახის პროფესიულ აკადემიასთან ერთად).

სწავლების ვადა 5 წელია. მიიღებიან ახალგაზრდები 25 წლის ასაკამდე. სწავლების ფორმა დღის დასწრებული. გათვალისწინებულია სტაჟირებები საზღვარგარეთ. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სწავლება ფასიანია, მისი წარმატებით დამთავრების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს შესაბამისად ESM-International-ის ან Berufsakademie-ის დიპლომს. დიპლომებს აქვს იურიდიული ძალა ევროპაში. ESM-თბილისის სტუდენტები გაივლიან სამხედრო მომზადებას.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 11-დან 16 ივლისამდე
მათემატიკაში (ტესტები), ქართული ენაში (წაკითხულის შინაარსი),
უცხო ენაში- ინგლისური, ფრანგული, გერმანული (ტესტები).

საბუთები მიიღება ESM-თბილისის მიმღები კომისიის მიერ ყოველდღე 27 ივნისიდან 9 ივლისის ჩათვლით (გარდა კვირისა) 11 საათიდან 18 საათამდე ოთახი 413, 401.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 40, (მეტრო "დელისთან") ESM—თბილისი.
ცნობებისათვის დარეკეთ: 39-16-73
39-44-57 39-65-90

ESM
თბილისი/TBILISI


## „ამომავალი ვარსკვლავის“ თასზე

საჭადრაკო ცხოვრება რესპუბლიკაში თვალსაჩინოდ გამოცოცხლდა. ამჯერად 40 მოჭადრაკე ვაჟი და ქალი მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირში „ამომავალი ვარსკვლავის“ თასზე, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა.

8 ქულა დააგროვა და არც ერთი პარტია არ წაუგია თბილისელ სერგო მოვსესიანს, პირველი ადგილიც მას ხვდა წილად. მეორე ადგილზეა თბილისელი ირაკლი ცქიტიშვილი, მესამეზე — სენაკელი ოსტატობის კანდიდატი რომან სიჭინავა.

• • • • • • • • • • • • • • • • •

## სპორტული ტელეეკრანი

„ოსტანკინო“

23 ივნისი. 10.50. ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. 21.45. ლოტო „მილიონი“.

24 ივნისი. 10.50. ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი.

25 ივნისი. 13.20. ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი.

26 ივნისი. 10.30. სპორტლოტო. 12.05. ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი.

„როსია“

23 ივნისი. 18.55. ავტო და მოტოსპორტის სამყაროში. 23.50. სპორტული კარუსელი.

24. ივნისი. 23.50. სპორტული კარუსელი.

25 ივნისი. 16.45. ფეხბურთი უსაზღვრებოდ. 23.50. სპორტული კარუსელი.

26 ივნისი. 9.55. ამერიკის კალათბურთის ასოციაციის საუკეთესო თამაშები. 23.50. სპორტული კარუსელი.

### სპორტი — ზნეობის სკოლა!

## ქიული შარტავას ხსოვნას მიეძღვნა

კლუბი „გეიმი-90“ პირველი დღიდანვე აქტიურად ჩაება საქმიანობაში, მთელი გატაცებით მონაწილეობდა და იმარჯვებდა საკლუბო პირველობებზე, წლევანდელი შეჯიბრება კი, „გეიმი-90“-ის გამგეობის გადაწყვეტილებით, საქართველოს ერთიანობისთვის თავდადებულ ქიულ შარტავას ხსოვნას მიეძღვნა.

ნორჩ ჩოგბურთელთა ასპარეზობაში 39 ბავშვი მონაწილეობდა. 13-14-წლიანთა შორის სანდრო დედაბრიშვილმა ყველას აჯობა. მეორე იყო ნიკა კოკონაშვილი, მესამე — გიორგი კერძევაძე. 10-12-წლიანების უძლიერესთა სამეული ასე გამოიყურება: 1. ლადო წერეთელი. 2. ლევან გვარამაძე, 3. ილია პაჭკორია. კლუბის ახალბედა წევრთა პირველობაში გაიმარჯვა სანდრო თარხნიშვილმა, მეორე იყო გიორგი გამყრელიძე, მესამე — გოგა მანგასაროვი, 1982-84 წლებში დაბადებულ გოგონათა სუპერფინალში ნინო ესებუამ სძლია ქეთევან ხუბულურს. კლუბის ნორჩებთან დიდი ხალისით მუშაობენ მწვრთნელები: მიხეილ ბუთხუზი, დავით ისლამოვი, ირინე ერმილოვა.

ვეტერანთა შორის გაიმარჯვა ჯემალ კირცხალიამ, მეორეა ვილი გოშხეთელიანი, მესამე — ვაჟა ღარიბაშვილი. წყვილთა თანრიგში ტოლი არავის დაუდო ღარიბაშვილ-ოლეგ ქოჩაკიძის დუეტმა, მომდევნო ადგილები კირცხალია — გოშხეთელიანი და რამაზ ჩიკვაიძე — დავით მესხის წყვილებმა დაისაკუთრეს.

— ეს ტურნირი, — თქვა მთავარმა მსაჯმა ჯუმბერ სარიშვილმა, — ქიული შარტავას ფონდმა გამართა. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს სამახსოვრო ჯილდოები ჟ. შარტავას ვაჟმა გადასცა, პატარები კი ფირმა „ოცნებათა სამეფომ“ დააჯილდოვა.

კლუბის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს კლუბს „გეიმი-90-ის ნაცვლად, ქიული შარტავას სახელი ეწოდოს. კლუბის ყველა აღსაზრდელისთვის ქიული შარტავა ზნეობრივი გმირი იქნება.

### ფარიკაობა ● საქართველოს ჩემპიონატი

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

თბილისი. რაპირა. ვაჟები: 1. ო. ჩერნიშოვი, 2. ი. ლალანიძე, 3. ვ. სიდამონიძე (სამივე — „მართვე“, თბილისი). გოგოები: 1. ხ. ჭუმბურიძე („მართვე“, თბილისი), 2. ნ. ბერიძე („შევარდენი“, თბილისი), 3. ქ. გიგაური („მართვე“, თბილისი) და მ. მაღლაფერიძე („მართვე“, ქუთაისი). ხმალი: 1. ა. ლორთქიფანიძე („მართვე“, თბილისი), 2. მ. ბაზაძე („დინამო“, წყალტუბო), 3. ა. მახარაძე და კ. მახარაძე (ორივე — „შევარდენი“, თბილისი). დაშნა. გოგოები: 1. რ. ხაჩატუროვა („შევარდენი“, თბილისი), 2. მ. ლომინაძე („მართვე“, თბილისი), 3. ნ. კისკეიძე და თ. შენგელია (ორივე — „მართვე“, ქუთაისი). დაშნა. ვაჟები: 1. ჯ. გომიაშვილი („მართვე“), 2., ა. ზახაშვილი („შევარდენი“), 3. გ. ნიკლაური („შევარდენი“, სამივე — თბილისი) და მ. ძნელაძე („მართვე“, ქუთაისი).

### სპეციალისტთა შეფასება ■ ჩემპიონატების ექო

#### ძალოსნობა

## სპორტსმენებისგან გმირობას თუ ვითხოვთ, მხარშიც ამოვუდგეთ

მკითხველთა თხოვნით დაწვრილებით გიამბობთ ჩვენი ძალოსნების შედეგებზე ევროპის 73-ე ჩემპიონატზე, რომელსაც ჩეხეთის ქალაქმა სოკოლოვომ უმასპინძლა. ჩემპიონატში, როგორც ადრე გაუწყეთ, საქართველოდან მხოლოდ სამი ათლეტი — ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი (91 კგ), ბიძინა მიქიაშვილი (83) და მუხრან გოგია (99) მონაწილეობდნენ. მზადების მთელი ციკლი ჩვენმა ძალოსნებმა თბილისში გაატარეს— შეშის ღუმელთან, რომელზედაც, რკინას შეჭიდებული ბიჭები, ხელებს თუ გაითბობდნენ ხოლმე. გესაუბრებათ სოკოლოვოში ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი რამაზ გურგენიძე:

— ბიძინა მიქიაშვილი ატაცში მეექვსე იყო, — აჩვენა 157,5 კგ და მელბურნის მსოფლიო ჩემპიონატის შედეგი გაიმეორა. აკვრაში, საწყისი წონების მიხედვით, იგი სამეულის კანდიდატი იყო. ბიძინამ პირველ ცდაზე 197,5 კგ და მეორეზე — 202,5 (საქართველოს ახალი რეკორდი) წარმატებით დაძლია. მთავარ მეტოქეს უკრაინელ ვ. ბაჟანს ეს ცდა ჩაუვარდა (205). ფაცარნაგს ოთხნი შემორჩნენ — მესამე ცდაც და, გაირკვეოდა როგორც აკვრაში, ისე ორჭიდში ჩემპიონის ვინაობა. ბაჟანმა დიდი გაჭირვებით მაინც დაძლია 205 კგ და ორჭიდი მოიგო. იგივე წონას გაუმკლავდა მოლდოველი ვ. აკარჩიონოვი, სხვებს უკვე მოთავებული ჰქონდათ საქმე. იხმეს მიქიაშვილი. თუ იგი ამ წონას (205) მოერეოდა, გაიმარჯვებდა აკვრაში, მაგრამ... თითქმის დაძლეული წონა თავს ზემოთ ველარ დაიმორჩილა და საბოლოოდ 306 კგ-ით ორჭიდში მეხუთე ადგილი ხვდა (7,5 კგ-ით განაახლა თავისივე საქართველოს რეკორდი). აკვრაში (202,5) კი მხოლოდ საკუთარი წონის წყალობით დაკარგა მე-3 ადგილი და მე-4 დარჩა.

კახი კახიაშვილისადმი ყველა ინტერესს იჩენდა — ცდილობდნენ ასპარეზობამდე ამოეცნოთ ოლიმპიური ჩემპიონი იყო თუ არა ჩვეულ სპორტულ ფორმაში. მისი მთავარი კონკურენტები იყვნენ ბულგარელი ი. ჩიკიროვი და რუსი ა. პეტროვი, ატაცში: კახიმ თანმიმდევრულად დაძლია 172,5; 177,5; 180 კგ. გამოსვლა ჩეკიროვმაც 180 კგ-ით დაამთავრა, პეტროვმა კი მესამე ცდაზე 185 კგ დაიმორჩილა. იგივე წონა დაძლია მისმა თანაგუნდელმა ი. ალექსეევმა და ოქროს მედალიც მას ხვდა. მეორე იყო პეტროვი, მესამე — კახიაშვილი. ჯერი მიდგა აკვრაზე. ჩიკიროვმა გაჭირვებით აილო 215 კგ და გახარებულმა მაყურებლებში გადაინაცვლა. პეტროვმა ამავე წონით, კახიმ კი 220 კგ-ით დაიწყო შეჯიბრება. მეორე ცდა. პეტროვი წონას 2,5 კგ-ით ზრდის და იმორჩილებს კიდეც. ჯერი კახიზე მიდგა, ატაცში პეტროვი მას 5 კგ-ით უსწრებდა, ამიტომ კახის 227,5 კგ, სჭირდებოდა წარმატებისთვის. ეს წონა, რომელიც მსოფლიო ახალი რეკორდიც იყო, კახიმ დაძლია, მაგრამ ფიცარნაგზე დაიწყო ტაატი, „გაჯიუტებულ“ წონას მთელი 35 წამი ებრძოდა და, პირველად თავისი სპორტული კარიერის მანძილზე, ვერ შეძლო დაძლეული წონის ფიქსირება, ქანცგაცლილმა დატოვა ფიცარნაგი. პეტროვმა ეს წონაც დაიმორჩილა და ორჭიდის ჯამში ლიდერი გახდა. დარჩა უკანასკნელი ცდა. ტაბლოზე 232,5 კგ-ი აინთო, დიქტორმა მესამე ცდაზე ოლიმპიურ ჩემპიონს კახი კახიაშვილს უხმო, თან დასძინა, რომ ეს წონა ახალი მსოფლიო რეკორდია, თუ დაძლევდა, კახი მესამედ ხდებოდა ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდებსაც დაამყარებდა აკვრაში და ორჭიდში. მაყურებელი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს და ამხნევებდა ჩვენს სპორტსმენს. როცა კახიმ ეს უზარმაზარი წონა მკერდზე აიტანა, დარბაზი გაილურსა, რუსების ბანაკი განწირული თვალებით მისჩერებოდა ფიცარნაგს... ისევ განმეორდა მეორე ცდის სცენარი — ვერც ამჯერად მოათვინიერა კახიმ სარეკორდო წონა. ჩემპიონი პეტროვი გახდა, რომელმაც კახის მიერ ბარსელონაში ნაჩვენები შედეგი გაიმეორა ორჭიდის ჯამში (412,5) კახი მეორე ადგილზე დარჩა. მესამე იყო ი. ჩიკიროვი.

მუხრან გოგიას მხოლოდ ორი საერთაშორისო შეჯიბრების გამოცდილება ჰქონდა. ამ წონაში გამოდიოდა კახის ძველი მეტოქე — სერგეი სირცოვი.

მუხრანმა ატაცი დაიწო 170 კგ-ით, მეორე ცდაზე 175 კგ. თავისუფლად დაძლია, მაგრამ წამით მოადუნა ყურადღება და წონა ფიცარნაგზე ისე დაეცა, სპორტსმენს წინააღმდეგობის გაწევაც არ უცდია. ძალოსნობაში ასეთი რამ ხშირად ხდება. გადაწყვეტილება სასწრაფოდ უნდა მიგველო. 177,5 კგ შევუკვეთეთ მესამე ცდისთვის. გაიმარჯვა ინტუიციამაც და სპორტსმენმაც — მუხრანი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა და საქართველოს რეკორდიც დაამყარა. აკვრა 200 კგ-ით დაიწყო. მეორე ცდაზე 207,5 დაიმორჩილა, რითაც სამეულს მიუახლოვდა. სირცოვი ერთპიროვნული ლიდერი გახდა, ამიტომ ვერცხლის და ბრინჯაოს მედლისათვის უფრო მიმდინარეობდა დავა. მუხრანთან ერთად იბრძოდა სომეხი ა. გრიგორიანი, ბელორუსი ოლეგ ჩირიცო და ბულგარელი რ. თეოდოსიევი. გრიგორიანმა 207,5 კგ დაძლია ბოლო ცდაზე და მესამე ადგილზე გადაინაცვლა, ასეთივე წონა დაიმორჩილა ჩირიცომ და დაელოდა მოვლენებს, ასევე მოიქცა ბულგარელიც, მუხრანს კი მესამე ცდაზე უეჭველად უნდა დაეძლია 210 კგ, რაც მან შესანიშნავად შეძლო, ახლა მუხრანის „გასამწარებლად“ თეოდოსიევმა 205 კგ-დან 217,5-ს შეუტია, მაგრამ შტანგა ფიცარნაგსაც ვერ ააცილა, ჩირიცომ კი აილო ეს წონა, მაგრამ წესების დარღვევით — ერთმა მსაჯმა ეს დააფიქსირა კიდეც, მაგრამ ორმა მაინც „შეიწყალა“ და ვერცხლის მედალს დაეუფლა (წონით იგი ქართველ ძალოსანზე ოდნავ მსუბუქი აღმოჩნდა). მუხრანმა ბრინჯაოს სამი მედალი მოიპოვა — ატაცში, აკვრაში და ორჭიდში. 22 წლის სპორტსმენისათვის ეს უთუოდ დიდი გამარჯვებაა და პატარა სპორტული საჩუქარი უნდა ვუწოდოთ. თავად განსაჯეთ: მუხრანმა თავისი შედეგი ორჭიდში 27,5 კგ-ით დაამძიმა. ეს გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ იგი მზარდი სპორტსმენია. მადლობა ნაკრების უფროს მწვრთნელს ბატონ ვანო გრიქუროვს, რომელმაც სამივე სპორტსმენი მოამზადა შეჯიბრებისათვის. — თუ, რა პირობებში, ამაზე ზემოთ უკვე ითქვა.

29 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის მედლების მიხედვით ჩვენ VIII გუნდური ადგილი დავიკავეთ. გაიმარჯვა უკრაინამ, მეორე ბულგარეთის, მესამე — თურქეთის, მეოთხე რუსეთის ნაკრები იყო.

მსოფლიო ჩემპიონატს წლეულს სტამბოლი უმასპინძლებს. ჩვენც მივველიან, მაგრამ როგორ გინდა აჯობო შენზე ყოველმხრივ უზრუნველყოფილ მოწინააღმდეგეს, თანაც არა ერთს? ბევრს ალბათ მიაჩნია, რომ სპორტზე მხოლოდ სპორტის დეპარტამენტი და ოლიმპიური კომიტეტი უნდა ზრუნავდეს. სახელმწიფომ და კერძო სტრუქტურებმა მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ. ჩვენ ვთხოვთ ყველას, გვერდში ამოგვიდგნენ, სპორტსმენებს ყურადღება სჭირდებათ. ისინი ყოველდღიურად ოფლს ღვრიან, სურთ სიხარული მოუტანონ ერს და ქვეყანას, ჩვენ კი სანაცვლოდ რას ვუბრუნებთ? მხოლოდ ბატონების მურმან ომანიძის, მარნეულის გამგებლის ნოდარ მუმლაძის და მათნაირი ადამიანების თანადგომა ვერ შველის საქმეს. ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე უნდა გადავარჩინოთ ქართული სპორტი, მომავალი თაობები ერის საუკეთესო სპორტსმენების მაგალითზე უნდა აღიზარდონ.

ვფიქრობ, დავიწყებას არ უნდა მივცეთ ბარსელონის ფიცარნაგზე კახი კახიაშვილის სპორტული გმირობა. ნუ ვაიძულებთ ქართველ სპორტსმენებს დადგნენ უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ. გარწმუნებთ, თქვენი ქველმოქმედება დიდ ეროვნულ საქმეს ემსახურება.

რამაზ გურგენიძე,
საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი.

#### მხატვრული ტანვარჯიში

## გრაციის მიღმა პრობლემებია

ამას წინათ, სალონიკმა (საბერძნეთი) მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ევროპის IX ჩემპიონატს უმასპინძლა. მონაწილეობდა 34 ქვეყნის 101 ტანმოვარჯიშე. გვესაუბრება ფედერაციის ვიცე-პირეზიდენტი მ. ჯულელი და ნაკრების მწვრთნელი ე. ბედოშვილი.

მ. ჯულელი: ჩემპიონატისთვის მზადება დროულად დავიწყეთ, თუმცა ზამთარში წვრთნის ელემენტარული პირობებიც არ გაგვაჩნდა. ნაკრებს ცივ დარბაზში ამზადებდა ე. ბედოშვილი, ი. მაჭარაშვილი, ე. შირინკინა და მ. ცაბაძე. სალონიკში იასპარეზეს ე. აბრამიამ, მ. ცერცვაძემ და ნ. წიკლაურმა. ავიარეისის გამო შეჯიბრებაზე გუნდი ჩავიდა ერთი კვირით ადრე, რამაც დამატებითი ფინანსური სიძნელეები შეგვიქმნა. რაკი სამი სპორტსმენით ჩავედით, ორგანიზატორებმა მოითხოვეს, რომ 2 ტანმოვარჯიშეს 4-4 ვარჯიში, ერთს კი 2 კომბინაცია შეესრულებინა.

ე. ბედოშვილი: ეკა აბრამია სალონიკში 38-ე ადგილზე გავიდა მრავალჭიდში (ბაბთით მე-8, სახტუნელით მე-16 ადგილი). გუნდურ პირველობაში მე-18 ადგილზე აღმოვჩნდით. მიზეზი ისევ და ისევ მზადების ხელშემშლელ პირობებში უნდა ვეძიოთ.

მ. ჯულელი: ახლა მეხამე შეჯიბრება იყო, სადაც უმსაჯოდ გავემგზავრეთ. ეს დიდ გავლენას, ცხადია, უარყოფითს, ახდენს შედეგებზე. ი. გაბაშვილმა და ლ. მეყანწიშვილმა ადრე გაიარეს მსაჯობის საერთაშორისო სემინარები. მაგრამ დღეს ისინი საზღვარგარეთ მუშაობენ, ამიტომ თავიდან გვიწევს არბიტრთა მომზადებაზე ზრუნვა.

ე. ბედოშვილი: თანამედროვე მხატვრულ ტანვარჯიშში ბევრი რამ შეიცვალა, გაჩნდა ორიგინალური მოძრაობები, წონასწორობები, პირუეტები. გაიზარდა მუსიკალური გაფორმების მნიშვნელობა, მეტწილად კლასიკური მუსიკის თანამედროვე, საინტერესო დამუშავების ხარჯზე. საერთოდ, ვარჯიშები გამოირჩევა დინამიურობით და სისწრაფით, ურთულესი ილეთებით დატვირთა კომპოზიციები, რაც მოითხოვს ვირტუოზულ ტექნიკას. ასე რომ, მწვრთნელებს დიდი სამუშაო გვაქვს და თუ ხელშეწყობა, პირველ ყოვლისა, მზადების ელემენტარული პირობები გვექნება, უკეთ მოვემზადებით ჯგუფურ ვარჯიშში წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც ჩატარდება პარიზში 6-10 ოქტომბერს. ჩვენი ნაკრები თითქმის მხოლოდ ახალგაზრდა, პერსპექტიული ტანმოვარჯიშეებით დაკომპლექტდება.

ესაუბრა ხათუნა აფაქიძე,
სპორტის ოსტატი.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# მიიღია მეხუთე ეროვნულის...

საქართველოს მეხუთე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში უკვე წარსულის კუთვნილება გახდა. უჩვეულო თითქოს არაფერი მომხდარა, აშკარა ფავორიტმა თბილისის „დინამომ" მორიგი გამარჯვება იზეიმა ორივე ფრონტზე — ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა ჩემპიონის წოდება და მესამედ დაისაკუთრა საქართველოს თასი, მაგრამ წინა წლებთან შედარებით ჩვენს ფლაგმანს შესამჩნევად გაუჭირდა. თუ უწინ „დინამო" პირველ ადგილს გათამაშების დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე ინაღდებდა, ახლა ჩემპიონის ვინაობა მხოლოდ ბოლოსწინა ტურში გაირკვა. ასე მოხდა თასის წლევანდელ გათამაშებაშიც: საფინალო მატჩი დინამოელებმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით მოიგეს. ყოველივე ამას თავისი ახსნა აქვს: „დინამომ" მიმდინარე საფეხბურთო სეზონი ფაქტობრივად თავისი საუკეთესო ფეხბურთელების გარეშე წარმართა. გ. ქინქლაძე, მ. შელია, სამი ძმა არველაძეები გერმანიისა და თურქეთის საფეხბურთო კლუბებს ათხოვეს დროებით და დინამოელთა მთავარ მწვრთნელს გივი ნოდიას უშუალოდ გათამაშების მიმდინარეობისას არსებითად ახალი გუნდის ჩამოყალიბება მოუხდა, რაც დიდ შრომასთან არის დაკავშირებული. გამოცდილი ვეტერანების გვერდით გულშემატკივრებმა იხილეს ახალი თაობის ნიჭიერი წარმომადგენლები: კიკნაძე, ცქიტიშვილი, იაშვილი და სხვანი. იმედია, ისინი და გუნდში დაბრუნებული ლეგიონერებიც შეხმატკბილებულ კოლექტივს შექმნიან და მოახლოებული ევროტურნირის შეჯიბრებებში „დინამო" მრავალ სიხარულს მიანიჭებს თავის ქომაგებს.

წლევანდელმა საფეხბურთო სეზონმა რომ დაძაბულად და საინტერესოდ ჩაიარა, ამაში დიდია მეორე ადგილზე გასული ფოთის „კოლხეთი-1913"-ის დამსახურება. მან ღირსეული მეტოქეობა გაუწია თბილისის „დინამოს". რომ მოკლე სათადარიგო სკამი არა, და დასანანი „ჩავარდნა" რამდენიმე მატჩში, ვინ იცის, კიდევ როგორ წარიმართებოდა ბრძოლა ჩემპიონობისთვის. ფოთელთა გუნდის აღმასვლაში დიდია მისი მესვეურის ფირმა „ლაშა-გიორგის" პრეზიდენტის დავით კუპრეიშვილის დამსახურება. საყოველთაო სიდუხჭირის პირობებში მან საშუალება გამონახა მწვრთნელებისა და ფეხბურთელებისთვის შეექმნა ნორმალური პირობები სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მაღალ დონეზე წარმართვისთვის. იმედია, კლუბი მომავალ სეზონში კიდევ უფრო გაძლიერდება და ჩემპიონობისთვის ბრძოლაც უფრო საინტერესო იქნება.

წლევანდელი გათამაშების სიურპრიზად შეიძლება ჩაითვალოს ქუთაისის „ტორპედოს" მესამე საპრიზო ადგილი. მზარდმა სპეციალისტმა რევაზ ბურკაძემ შეძლო საინტერესო ახალგაზრდული კოლექტივის შექმნა, გუნდს მხარში უდგას და შეძლებისდაგვარად ეხმარება ქალაქის ხელმძღვანელობაც. ამჟამად მთავარია გუნდის შემადგენლობის შენარჩუნება, ადგილობრივი ახალგაზრდებით გაძლიერება და ქუთაისელთა კოლექტივიც ახალ გათამაშებაში კიდევ გაახარებს თავის ქომაგებს.

საინტერესო, მობილური თამაში აჩვენეს წლეულს სამტრედიის „სამტრედიისა" და ბათუმის „დინამოს" კოლექტივებმაც. ზოგიერთი ხელშემშლელი მიზეზი რომ არა (მწვრთნელთა ცვლა, არასტაბილური თამაში), ეს გუნდები უთუოდ უფრო კარგ შედეგებს აჩვენებდნენ.

საქართველოს პირველობის დებულების თანახმად პირველ ჯგუფს დატოვებენ თბილისის „მრეტები", ჭიათურის „მაღაროელი", ქობულეთის „შუქურა" და გურჯაანის „ალაზანი". მათი მარცხი დასანანია, მაგრამ გვჯერა, ისინი მოიკრებენ ძალებს და გაისად უძლიერესთა რიგებში დასაბრუნებლად იბრძოლებენ.

დარჩენილ 15 გუნდს შეემატებიან მეორე ჯგუფის უძლიერესი კოლექტივები: დასავლეთ ზონაში პირველი ადგილი სენაკის „ეგრისმა" დაიკავა, აღმოსავლეთ ზონაში კი გამარჯვებული გამოვლინდება დამატებით მატჩში ყვარლის „დურუჯსა" და თბილისის „ანცს" შორის.

ჯემალ ჭიპაშვილი

### I ჯგუფი

18 ივნისი, ბოლო, XVIII ტური.
I-X ადგილები

„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „დინამო" (თბილისი) 5-1
„დილა" (გორი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 0-2
„გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (ბათუმი) 2-4
„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „სამტრედია" (სამტრედია). მასპინძელთა გუნდი მატჩზე არ გამოცხადდა.
„ივერია" (ხაშური) — „შევარდენი-1906" (თბილისი). მასპინძლები აქაც არ გამოცხადნენ თამაშზე.

გათამაშების საბოლოო ცხრილები
I-X ადგილები

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 18 | 16 | — | 2 | 51-16 | 48 |
| „კოლხეთი-1913" (ფოთი) | 18 | 14 | 2 | 2 | 51-20 | 44 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 18 | 9 | 4 | 5 | 33-22 | 31 |
| „სამტრედია" (სამტრედია) | 18 | 9 | 2 | 7 | 31-23 | 29 |
| „დინამო" (ბათუმი) | 18 | 8 | 4 | 6 | 32-24 | 28 |
| „შევარდენი-1906" (თბილისი) | 18 | 6 | 3 | 9 | 28-26 | 21 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 18 | 5 | 2 | 11 | 30-50 | 17 |
| „მარგვეთი", (ზესტაფონი) | 18 | 4 | 3 | 11 | 22-41 | 15 |
| „დილა" (გორი) | 18 | 4 | 2 | 12 | 12-35 | 14 |
| „ივერია" (ხაშური) | 18 | 3 | 2 | 13 | 14-47 | 11 |

XI-XIX ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 16 | 10 | — | 6 | 43-19 | 30 |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 16 | 9 | 2 | 5 | 38-19 | 29 |
| „საპოვნელა" (თერჯოლა) | 16 | 9 | 2 | 5 | 28-23 | 29 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 16 | 9 | 1 | 6 | 27-29 | 28 |
| „კახეთი" (თელავი) | 16 | 9 | 1 | 6 | 45-32 | 28 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 16 | 8 | 3 | 5 | 25-25 | 27 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 16 | 7 | 1 | 8 | 18-29 | 22 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 16 | 4 | 2 | 10 | 27-47 | 14 |
| „მრეტები" (თბილისი) | 16 | — | 2 | 14 | 11-39 | 2 |

### II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დურუჯი" (ყვარელი) | 34 | 29 | 2 | 3 | 82-21 | 89 |
| „ანცი" (თბილისი) | 34 | 29 | 2 | 3 | 91-7 | 89 |
| „თეთრი არწივი" (თბილისი) | 34 | 29 | 1 | 4 | 98-26 | 88 |
| „კრწანისი" (თბილისი) | 34 | 17 | 5 | 12 | 70-52 | 56 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 34 | 17 | 5 | 12 | 66-48 | 56 |
| „მერანი-91" (თბილისი) | 34 | 15 | 7 | 12 | 54-51 | 52 |
| „ჭაბუკიანი" (ჭაბუკიანი) | 34 | 16 | 3 | 15 | 59-39 | 51 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 34 | 15 | 3 | 16 | 53-57 | 48 |
| „ნაფარეული" (ნაფარეული) | 34 | 14 | 2 | 18 | 71-82 | 44 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 34 | 14 | 2 | 18 | 45-53 | 44 |
| „არმაზი-90" (თბილისი) | 34 | 12 | 7 | 15 | 65-63 | 43 |
| „სიონი" (ბოლნისი) | 34 | 12 | 5 | 17 | 55-54 | 41 |
| „თორი" (ბორჯომი) | 34 | 12 | 5 | 17 | 48-59 | 41 |
| „მერანი-ბაჩო" (თბილისი) | 34 | 11 | 6 | 17 | 72-82 | 39 |
| „რკონი" (კასპი) | 34 | 10 | 2 | 22 | 54-97 | 32 |
| „შირაქი" (დედოფლის წყარო) | 34 | 9 | 4 | 21 | 43-90 | 31 |
| „არმაზი" (მცხეთა) | 34 | 8 | 7 | 19 | 48-88 | 31 |
| „ქართლი" (გორი) | 34 | 2 | 2 | 30 | 13-94 | 8 |

დასავლეთი ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ეგრისი" (სენაკი) | 26 | 22 | 2 | 2 | 69-24 | 68 |
| „ანაკო" (ოზურგეთი) | 26 | 22 | 1 | 3 | 56-16 | 67 |
| „კოლხეთი" (აბაშა) | 26 | 17 | 2 | 7 | 56-16 | 67 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 26 | 17 | 4 | 5 | 61-25 | 55 |
| „კახაბერი" (ხელვაჩაური), | 26 | 13 | 2 | 11 | 47-43 | 41 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 26 | 12 | 5 | 10 | 54-42 | 41 |
| „უნივერსიტეტი" (ზუგდიდი) | 26 | 12 | 4 | 10 | 52-43 | 40 |
| „ჩხერიმელა" (ხარაგაული) | 26 | 11 | 4 | 11 | 52-41 | 37 |
| „იმერეთი" (ხონი) | 26 | 11 | 3 | 12 | 46-40 | 36 |
| „სულორი" (ვანი) | 26 | 8 | 6 | 12 | 36-44 | 30 |
| „ულუმბო" (ვანი) | 26 | 6 | 2 | 18 | 35-62 | 20 |
| „გურია-2" (ლანჩხუთი) | 26 | 4 | 3 | 19 | 20-57 | 15 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 26 | 3 | 2 | 21 | 16-67 | 11 |
| „უქიმერიონი" (ქუთაისი) | 26 | 3 | — | 23 | 9-70. | 9 |

# დიდი საფეხბურთო ბრძოლა დაიწყო

(დასასრული)

ვრიდან გააძევეს ბოლივიელთა საუკეთესო მოთამაშე მარკო ანტონიო ეტჩევარია, მეორეში კი — ესპანელთა ნაკრების კაპიტანი მიგელ ანჰელ ნადალი. ყვითელ ბარათებს ხომ თვლა არა აქვს, ყოველ დანაშაულს მყისვე მოსდევს სასჯელი და გაფრთხილება.

დეტროიტში ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და შვეიცარიის გუნდები. თამაში ვეება დახურული სტადიონის (80 ათასი მაყურებელი) მინდორზე შედგა და ეს, ვგონებთ, პირველი შემთხვევაა მსოფლიო ჩემპიონატების ხანგრძლივ ისტორიაში. პირველი ბურთი ტაიმის ბოლო წუთებზე გავიდა მასპინძელთა კარში შვეიცარიელთა ნახევარმცველის ჟორჟ ბრეგის ზუსტი დარტყმის შემდეგ, ამერიკელები დამარცხებისგან იხსნა ერიკ ვინალდამ და ისიც ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ — 1-1.

იტალიისა და ირლანდიის გუნდების შეხვედრაში საყოველთაო ფავორიტი, როგორც იცით, იტალია გახლდათ, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, პირველხარისხოვანი ოსტატებით დაკომპლექტებული გუნდი, ირლანდიელებს კი დიდ სარბიელზე არასოდეს ჰქონიათ რამდენადმე მაინც ღირსშესანიშნავი მიღწევები. და, აი, ნაქებმა იტალიელმა ფეხბურთელებმა ვერაფერი მოუხერხეს ირლანდიელთა საუცხოოდ ორგანიზებულ დაცვას, რომელმაც მთლიანად გადაკეტა მისადგომები თავის საჯარიმო მოედანთან, იტალიელები ბევრს ეცადნენ, უქმად არავინ მდგარა, მაგრამ მეკარე პატრიკ ბონერის პოზიცია ამ მატჩში მათთვის ბოლომდე მიუღწეველი დარჩა. მალდინის, ბარეზის, რ. ბაჯოს, დ. ბაჯოს, დონადონისა სხვა გამოჩენილ ოსტატთა მაღალი ხელოვნება გაკრთა მეტოქის კარგად ჩაფიქრებული და გამოზომილი ურთიერთმოქმედების ყრუ კედლის წინაშე. უნებურად გვახსენდება ევროპის ჩემპიონთა ლიგის ამასწინანდელი ფინალური მატჩის დაუვიწყარი პერიპეტიები ესპანეთის „ბარსელონასა" და იტალიის „მილანს" შორის. როგორც მაშინ იტალიელთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ზუსტად და შეუცდომლად გაითვალისწინა მომავალი თამაშის დეტალები ესპანელთა გუნდის მწვრთნელის იოჰან კრუიფის გეგმის გასანეიტრალებლად, აქაც ირლანდიელთა მწვრთნელი ჯეკი ჩარლტონი ერთი თავით მაღლა აღმოჩნდა იტალიელთა ხელმძღვანელის არიგო საკის წინასწარ ჩანაფიქრზე. საკმარისი იყო იტალიელთა მეკარე ჯანლუკა პალიუკას წინდაუხედავად და გაუმართლებლად დაეტოვებინა კარი, რომ რეი ჰოუგტონმა უმალ თავს ზემოთ გადაუგდო მას ბურთი და ეს გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

კოლუმბია-რუმინეთი. კოლუმბიელთა დებიუტს მოუთმენლად ელოდნენ, ყველას კარგად ახსოვდა მათი გამარჯვება არგენტინელებთან შესარჩევ ტურნირში, როცა კოლუმბიელებმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებთან სენსაციურ გამარჯვებას მოაღწიეს ანგარიშით 5-0 და ისიც სად — ბუენოს-აირესში, მეტოქის მინდორზე. მაგრამ რუმინელებმა ამჯერად ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვეს სამხრეთამერიკელებს, ფლო-



კორეელებმა გაათანაბრეს ანგარიში — 2-2.

რან რუდუჩოუმ (ორჯერ) და გეორგე ჰაჯიმ 3 ბურთი გაიტანეს, რასაც ადოლფო ვალენსიამ მხოლოდ ერთით უპასუხა — 3-1.

პირველ ტურში ბელგიელებმა ანგარიშით 1-0 მოუგეს მაროკოს გუნდს (ბურთი გაიტანა მარკო დეგრიზმა), ხოლო ნორვეგიელებმა ასევე მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს მექსიკის ნაკრები (ჩეტილ რეკდალი).

სავსებით ბუნებრივი და გასაგებია ის მოუთმენლობა, რომლითაც ველოდით ბრძოლაში ფავორიტების ჩართვას. ესენია, რა თქმა უნდა, ბრაზილია, გერმანია, არგენტინა, ჰოლანდია.

საგანგებო ყურადღებით ვადევნებდით თვალს ბრაზილია-რუსეთის გუნდების შეხვედრას. ბრაზილია, თავისთავად ცხადია, ოქროს მედლის ერთ-ერთი უპირველესი პრეტენდენტია, ამდენად, ფრიად საინტერესო იყო მისი საერთო მომზადების, ტაქტიკური პროფილის ახლანდელი დონის ხილვა, საუკეთესო მოთამაშეთა კლასის შემოწმება, ხოლო რაც შეეხება რუსეთს, იქ მიმდინარე მწვავე კონფლიქტებისა და სკანდალების შემდეგ საყურადღებო იყო მისი საბრძოლო კონდიციების ხილვა.

ვერაფერი საინტერესო რუსეთის ნაკრების თამაშში ვერ ვიხილეთ, მან ყველაფერში დაუთმო მეტოქეს, აი, ბრაზილიელთა კლასი კი ისევ ძალზე მაღალია. უპირველესად აღვნიშნავთ რომარიოს, ჟორჟინიოს, რაის, ბებეტოს, ლეონარდოს, და გამარჯვება ანგარიშით 2-0 ფრიად მოკრძალებულადაც გვეჩვენება. პირველი ბურთი რომარიომ გაიტანა 27-ე წუთზე, მერე კი იგი უხეშად წააქციეს საჯარიმო მოედანზე და რაიმ შეუცდომლად გამოიყენა 11-მეტრიანი. სხვათა შორის, ეს პირველი პენალტია XV მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მსვლელობაში.

ჰოლანდიელები გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ საუდის არაბეთის ფეხბურთელთა მხრივ. მეტიც: პირველი გოლი არაბებმა გაიტანეს (ამინი), ჰოლანდიამ კი ანგარიში მხოლოდ მეორე ტაიმში გაათანაბრა (იონკი), ხოლო გადამწყვეტი ბურთი 87-ე წუთზე გაიტანა (ტაუმენტი).

კამერუნისა და შვეციის გუნდების შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 2-2. ბრძოლა აქაც ძალზე დაძაბული იყო. კამერუნელთაგან ბურთები გაიტანეს ემბემ და ფრანსუა ბიიკმა, ჰოლანდიელთაგან კი — ლუნგმა და დალინმა.

არგენტინისა და საბერძნეთის გუნდების შეხვედრაში არგენტინელთა უპირატესობა სრული და აშკარა იყო. არგენტინელმა ბატისტუტამ პირველი ორი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში, შემდეგ მარადონამ მესამედ აიძულა ბერძნები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში, ხოლო იმავე ბატისტუტამ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი — 4-0.

თავიანთ შესაძლებლობაზე გაცილებით სუსტად ითამაშეს გერმანელებმა ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ. ესპანელი გოიკოეჩეას მიერ გატანილი ბურთი კლინსმანმა გაქვითა და ამით იხსნა თავისი გუნდი დამარცხებისაგან — 1-1.

ნიგერია — ბულგარეთი — 3-0. გოლები: იეკინი, ამოკაჩი, ამუნიკე.



## მსოფლიო ჩემპიონატი ტელეეკრანზე

„ოსტანკინო"

**23 ივნისი.** 23.55. იტალია — ნორვეგია.

**24 ივნისი.** 23.55. ბრაზილია — კამერუნი.

**25 ივნისი.** 0.30. საუდის არაბეთი — მაროკო.

**26 ივნისი.** 20.25. ბულგარეთი — საბერძნეთი. 0.50. შვეიცარია — კოლუმბია.

„როსია"

**23 ივნისი.** 9.10. აშშ — კოლუმბია.

**24 ივნისი.** 9.10. კორეა — ბოლივია. 20.25. მექსიკა — ირლანდია.

**25 ივნისი.** 11.50. შვეცია — რუსეთი. 20.25. ბელგია — ჰოლანდია. 23.55. არგენტინა — ნიგერია.

**26 ივნისი.** 23.55. აშშ — რუმინეთი.

## მატჩი ბათუმში

21 ივნისს ბათუმში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა აქ მიიღო ბრაზილიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, ამ ქვეყნისა და სან-პაულუს შტატის მრავალგზის ჩემპიონი „პალმეირასი".

თამაში დამთავრდა ბრაზილიელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 1-0.

## „ავაზა" — გამარჯვებული

**ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში რესპუბლიკის ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ინიციატივით (ხელმძღვანელი თ. ისაკაძე) გაიმართა 1984 წელს დაბადებულ ნორჩ თბილისელ ფეხბურთელთა ტურნირი 8 გუნდის მონაწილეობით.**

**ფინალში თამაშობდნენ „ავაზა" და „ვაკე". ანგარიშით 4-1 გაიმარჯვეს ავაზელებმა.**

# რა ხდება ქვეყანაზე

● ამერიკის ჩოგბურთის ასოციაციის პრეზიდენტის ჰოვარდ ფრეზერის განცხადებით 1994 წლის აშშ-ს ღია ჩემპიონატის საპრიზო ფონდი სარეკორდო იქნება და 9.360.100 დოლარს შეადგენს. რას ნიშნავს ეს თანხა გამარჯვებულთათვის? იმას, რომ ერთეულთა ტურნირში პირველ ადგილზე გასულნი მიიღებენ 550-550 ათას დოლარს (ცალკე ქალთა, ცალკე ვაჟთა შორის გამარჯვებულნი). ეს თანხა 15 ათასი დოლარით აღემატება შარშანდელ საპრემიო ფონდს. წყვილთა თანრიგში გამარჯვებულთათვის დაწესებულია 200-200 ათასი დოლარი (აქაც ცალკე ქალებში, ცალკე ვაჟებში). უძლიერესი შერეული წყვილი კი მხოლოდ 46.500 დოლარით უნდა დაკმაყოფილდეს.

● როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, გაისიდან ფიგურულ ციგურაობაში ევროპის არაერთგზის ჩემპიონის სიურია ბონალის (საფრანგეთი) მწვრთნელი იქნება 1960 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ქალთა შორის, ამერიკელი კეროლ ჰეისი. ეს არჩევანი გააკეთა საფრანგეთის ეროვნული ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა პატრის მორენამ.

● დიდი ინტერესი გამოიწვია ჰოლანდიის ტელევიზიით გადაცემულმა ინტერვიუმ „კარლსრუეს“ ფეხბურთელთა კლუბის ფორვარდთან სერგეი კირიაკოვთან, რომელსაც კარგა ხანია თვალი დაადგა „ეინდჰოვენმა“. კორესპონდენტმა ფეხბურთელს ჰკითხა თანახმა იქნება თუ არა ასეთ ტრანსფერზე, რასაც კირიაკოვმა უპასუხა: „ეს საინტერესო წინადადებაა და დაფიქრებას საჭიროებს. დიდი მნიშვნელობა ექნება იმასაც, გადაიხდის თუ არა „ეინდჰოვენი“ საკმაოდ სოლიდურ თანხას, რომელიც ჩემი კონტრაქტის გამოსყიდვას დასჭირდება“. „კარლსრუეს“ ხელშეკრულება ს. კირიაკოვთან 1997 წლის ბოლომდე აქვს დადებული.

● რენოს ცნობილი საავტომობილო ფირმის წარმომადგენლის განცხადებით „ფორმულა 1“-ის ოთხგზის ჩემპიონი, ცნობილი ფრანგი ავტომობილისტი ალენ პროსტი დაინიშნა ამ კონცერნის „სრულუფლებიან ელჩად“, რასთან დაკავშირებითაც ხელი მოაწერა სამწლიან კონტრაქტს. პროსტი ვალდებული არ არის იზრუნოს „ფორმულის“ გავლენის სფეროს გაფართოებისათვის, მას უფრო გლობალური ამოცანა დაეკისრა: გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე კავშირების გასაუმჯობესებლად, რენოს პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით და, ცხადია, „ფორმულის“ იმიჯის აღსადგენადაც.

● როგორც ცნობილია, ამერიკელ [illegible]ურისტს ტონია ჰარდინგს, რომელიც [illegible]რტში თავს დაესხა ლილეჰამერის ოლი[illegible]პიადის ვერცხლის პრიზიორს, თანა[illegible]ენდელ ნენსი კერიგანს, სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ახლახან ცნობილი გახდა, რომ ჰარდინგს პროფესიული კეტჩის წარმომადგენლები იწვევენ იაპონიაში და 2 მილიონ დოლარს სთავაზობენ, თუ კი იგი გამოვა ქალთა ტურნირებში. მათი აზრით ჰარდინგს ბრწყინვალედ შეუძლია განასახიეროს „ბოროტის“ როლი. ფიგურისტმა იაპონელთა წინადადება უარჰყო, თუმცა დასძინა, რომ მოწვევას მიიღებს იმ შემთხვევაში თუ ყოველ ბრძოლაში 2 მილიონ დოლარს გადაუხდიან.

● მოულოდნელად გარდაიცვალა 1976 წლის ინსბრუკის XII ზამთრის ოლიმპიადის და მსოფლიოს ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში ინგლისელი ჯონ კარი. იგი დაკრძალეს მშობლიურ ქალაქ ლემინგტონ სპაში. კრემაციის დროს უკრავდნენ მინკუსის „დონ-კიხოტს“, მუსიკას, რომელმაც მას გამარჯვება მოუტანა ინსბრუკში 18 წლის წინ.

● კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივნის ბორისლავ სტანკოვიჩის განცხადებით ევროპის საკალათბურთო ცხოვრებაში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. კერძოდ, 1996-97 წლების სეზონიდან ახლანდელ კლუბურ ტურნირს შეცვლის სუპერლიგა, რომელშიც გამოვა 24 კლუბი, ამასთან, კონტინენტის წამყვანი საკალათბურთო ქვეყნები (საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი) სუპერლიგაში სამ-სამი გუნდით იქნებიან წარმოდგენილნი.

## მირიან კვარაცხელია



საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა რიგებს 61 წლისა, გამოაკლდა ხონის „იმერეთის“ წარმომადგენელი, გუნდის უცვლელი კაპიტანი მირიან გიორგის ძე კვარაცხელია.

ბავშვობიდან მისი ნატვრა და ოცნება ფეხბურთი იყო. ნიჭიერი ახალგაზრდა 1952 წელს ჩაირიცხა ხონის გუნდში, რომელსაც 15 წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად ემსახურა.

აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ მას არ გაუწყვეტია კავშირი ფეხბურთთან. დიდხანს იყო „იმერეთის“ უფროსი მწვრთნელი, მისი მონაწილეობით 1959 წელს გუნდი გადავიდა საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში, ხოლო მწვრთნელობის დროს, 1979 წელს „იმერეთმა“ ანდრო ჟორდანიას სახელობის თასი მოიპოვა.

კარგი მოქალაქის, მეგობრისა და შესანიშნავი მეოჯახის მირიან კვარაცხელიას ხსოვნა დიდხანს დარჩება ფეხბურთის მოყვარულებსა და მეგობრებს შორის.

ხონის საფეხბურთო კლუბი „იმერეთი“, ხონის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლა, ვეტერანი ფეხბურთელები.

## მალხაზ ჩოგოვაძე



ვეტერან მორაგბეთა ამქარს კიდევ ერთი წევრი გამოაკლდა — 44 წლისა გარდაიცვალა თბილისის „ივერიის“ (ყოფილი „ელვა“) მოთამაშე მალხაზ ჩოგოვაძე. ახალგაზრდობა ამ შესანიშნავმა პიროვნებამ რაგბს დაუკავშირა, იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის თასის ფინალისტი, მონაწილეობდა საერთაშორისო შეჯიბრებებში, ბოლოს კი ვეტერან მორაგბეთა რიგებში გამოდიოდა ძველი თაობის წარმომადგენლებთან ერთად. სპორტის ამ სახეობასთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია. თავისუფალ დროს სამთოთხილამურებში ბავშვების მომზადებასაც ახერხებდა. პროფესიით მშენებელი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იყო გარემოსილი სპეციალისტთა შორის.

წავიდა ჩვენგან უპრეტენზიო, უწყინარი, საქმის უხმაუროდ მკეთებელი პიროვნება, ნამდვილი მეგობარი.

მალხაზ ჩოგოვაძის ნათელი ხსოვნა არასოდეს წაიშლება ჩვენს გულებში.

მეგობრები.



## ჯერჯერობით დაიგვიანა

არ არის გამორიცხული, რომ ფიბა — ნბა-ს კალათბურთელთა პოპულარული ტურნირი „მაკდონალდსი“ გადაკეთდეს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატად. ყოველ შემთხვევაში ასეთი განცხადება ჯერ კიდევ ამ ოთხიოდე წლის წინ გააკეთა ნბა-ს კომისარმა დევიდ სტერნმა. მან პირველი ასეთი შეჯიბრების თარიღიც კი დაასახელა — 1993 წელი, მაგრამ მოხდა გაუგებარი შეფერხება. ყოველ შემთხვევაში საკითხი დღის წესრიგიდან ჯერ არ მოხსნილა. ეს ჩემპიონატი, ორგანიზატორთა აზრით, უნდა მოეწყოს ნბა-ს სეზონის წინ. მასში გამოვლენ ნბა-ს და კიდევ 15 სხვა ქვეყნის ჩემპიონები (ევროპის, სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიის.)

## კომენეჩი სამშობლოზე ფიქრობს

ოლიმპიური თამაშების ხუთგზის ჩემპიონმა ტანვარჯიშში ნადია კომენეჩიმ 1989 წელს პოლიტიკური მოსაზრებებით დატოვა მშობლიური რუმინეთი და აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად. მას შემდეგ სპორტსმენის ბიოგრაფიაში არსებითი ტრანსფორმაცია მოხდა და ტანვარჯიშმა ადგილი დაუთმო ბიზნესს. კომენეჩს ამ დარგშიც შესაშური ნიჭი აღმოაჩნდა.

ცოტა ხნის წინ ავსტრალიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მყოფმა, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სულ მალე რუმინეთის ტანვარჯიშის ფედერაციას სპონსორული დახმარების სახით გადაურიცხავს 100 ათას დოლარს. აშშ-ში დაბრუნების შემდეგ კი თავის ფაბრიკაში შეცვლის რამდენიმე ხაზს და სატანვარჯიშო ეკიპირების ათვისებას დაიწყებს. პროდუქციის ნაწილს ბუნებრივია, უსასყიდლოდ, მშობლიურ რუმინეთში გააგზავნის.

## პლაჟიდან ოლიმპიურ სარბიელზე

ჟწინ მას პლაჟის ფრენბურთს ეძახდნენ, მას შემდეგ კი რაც ოლიმპიური დისციპლინა გახდა, სახელი შეუცვალეს. ახლა იგი ცნობილია, როგორც ბიჩვოლეი. ეს ცვლილება მოხდა საერთაშორისო ფედერაციის სანქციით და ამიტომაც სავალდებულოა (ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი გვირჩევს ქართულად დავამკვიდროთ ტერმინი პლაჟბურთი, რაც, ვფიქრობთ, ყურადსაღებია).

წლეულს დაიწყება ეროვნული გუნდების (და არა წყვილების) შერჩევა ატლანტის 1996 წლის ოლიმპიური თამაშებისათვის. საერთაშორისო ფედერაციამ შეიმუშავა ამ შეჯიბრებათა სისტემა. თავდაპირველად გაიმართება ბიჩვოლეისტთა ტურნირების სერია ბულგარეთში (ივლისი), იტალიაში (ივლისი), საფრანგეთში (ივლისი), პორტუგალიაში (აგვისტო), ესპანეთში (აგვისტო). მერე შარშანდელ რეიტინგებზე დაყრდნობით შეადგენენ სიძლიერის ახალ კოეფიციენტს. ფიქრობენ, რომ პირველ სამეულში (საფრანგეთი, ნორვეგია, იტალია) არსებითი ცვლილებები არ მოხდება.

1995 წლიდან შეჯიბრებებს მოაწყობენ არა მარტო საზღვაო პლაჟებზე, არამედ პარკებში, მდინარის ნაპირებზე და ა.შ. ეს აუცილებელი სიახლეა იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ზღვის სანაპირო. ბოლოს გაიმართება ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი რამდენიმე ზონაში.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, მ. წოწორია.

# ლუისი ტაისონის წინააღმდეგ

მას შემდეგ რაც რამდენიმეჯერ წარმატებით დაიცვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მძიმე წონაში, მაიკ ტაისონმა დაკარგა მაყურებელი. პარადოქსია არა? რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ნამდვილად ასე იყო.

„ტაისონზე“ ბილეთების შოვნა შეიძლებოდა სანახაობის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრეც და დარბაზიც, უფრო სწორად კი ტრიბუნები, ამის გამო მეჩხერად გამოიყურებოდა. ყველაფრის მიზეზი კი გახლდათ ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ერთი თავით, თუ მეტით არა, სჯობდა თავის კონკურენტებს, ჩემპიონობის პრეტენდენტებს. წარმოიდგინეთ უბრალო ამერიკელი გულშემატკივრის მდგომარეობა, რომელმაც ასზე მეტი (გნებავთ ცოტა ნაკლები) დოლარი უნდა გადაიხადოს სანახაობაში, რომელიც შეიძლება ხუთ წუთში დამთავრდეს, ან უფრო ადრეც. ამასთან, ბრძოლის ბედი ყველა კონკრეტულ ვარიანტში წინასწარ არის ცნობილი...

სწორედ რეალური მოწინააღმდეგეების არყოფნამ უბიძგა სპეციალისტებს, მოეწყოთ სიმბოლური მატჩი ტაისონსა და სხვადასხვა დროის მსოფლიოს უძლიერეს პროფესიონალებს შორის. ასეთი მატჩის ორგანიზებას, რა თქმა უნდა, დიდი ფანტაზია, ანალიტიკური აზროვნება და კრივის ზედმიწევნით კარგად ცოდნა სჭირდებოდა. ამ საცდელი შეხვედრის ინიციატივა ეკუთვნოდა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რედაქციას, ხოლო მისი განხორციელება იკისრა ჟურნალ „ბოქსინგ ილუსტრეიტედის“ გამომცემელმა ბერტ შუგარმა.

ერთი სიტყვით, შედგა რამდენიმე საჩვენებელი ბრძოლა, რომელსაც „დაესწრნენ“ პროფესიული კრივის სპეციალისტები. მაგრამ შედეგები, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთობ უცნაური გამოდგა. ყოველ შემთხვევაში კრივის მოყვარულთა დიდი ჯგუფი ამ შედეგებს არ დაეთანხმა.

ტაისონმა „დაამარცხა“ მაქს ბერი მეორე რაუნდში, ჯო ფრეზერი — მეხუთეში, ეზარდ ჩარლზი — მერვეში და როკი მარჩიანო — მეათე რაუნდში. ამავე დროს, თვითონ დამარცხდა მოჰამედ ალისთან ქულებით, ჯეკ ჯონსონთან — მეთერთმეტე, ჯო ლუისთან — მერვე, სონი ლისტონთან — მეოთხე და ჯეკ დემპსისთან — მესამე რაუნდში.

ბერტ შუგარმა ეს შედეგები სპეციალისტთა ჟიურის გააცნო, მაგრამ მათგან ერთსულოვანი თანხმობა ვერ მიიღო. მხოლოდ ჯო ლუისის შედეგს არ გამოუწვევია ეჭვი. სპეციალისტებმა ერთხმად დაამტკიცეს, რომ ლუისი დაამარცხებდა ტაისონს და აი რატომ:

ტაისონისგან განსხვავებით ლუისს არა მარტო უძლიერესი (მანოკაუტირებელი) დარტყმები ჰქონდა, მან კრივიც იცოდა. უფრო სწორად, რინგზე მას ყველაფერი შეეძლო.

ტაისონი ერთხელ უსათუოდ გააგზავნიდა ნოკდაუნში ლუისს, მაგრამ ჯო უეჭველად მოამწყვდევდა მეტოქეს კუთხეში და იქიდან აღარ გაუშვებდა. ამასთან, მას გაცილებით უკეთესი დარტყმები ჰქონდა მარცხნიდან. ლუისი შემხვედრი დარტყმების წყალობით ახლოს არ მიუშვებდა ტაისონს, დისტანციიდან ბრძოლას კი ისე წარმართავდა, რომ საღლაც მერვე რაუნდისთვის გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინა. ლუისის მთავარი კოზირი — „ჯები“ (შემხვედრი დარტყმა მარცხნიდან) სწორედ ამ დროისთვის იტყოდა თავის სიტყვას.

საქართველოს რაგბის კავშირი და ვეტერან მორაგბეთა ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მორაგბე
მალხაზ ჩოგოვაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სპორტკომიტეტი და მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ თანაგრძნობას უცხადებენ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს რაიდ აბრამიშვილს მამის გარდაცვალების გამო.

# ჯიროს ახალი ფავორიტი

თანამედ შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი პროფესიული ველოსპორტის მთავარი სენსაცია გახლავთ რუსი ევგენი ბერზინის გამარჯვება ჯირო დ' იტალიაში. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მრავალდღიან ველორბოლაში (იგი თავისი მნიშვნელობით მეორეა ტურ დე ფრანსის შემდეგ) ყოფილი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს არასდროს გამოუჩენია თავი. ჯირო და საფრანგეთის ტური მათთვის მიუწვდომელი ოცნება იყო. და აი საოცრება: „ჯევის-ბალანის“ (იტალია) გუნდის წევრმა ევგენი ბერზინმა, ფაქტობრივად, რბოლის დასაწყისშივე ხელთ იგდო ლიდერობა, გაუძლო ყველა გამოცდას, ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა და პირველი ადგილი დაისაკუთრა. ამ გამარჯვების მნიშვნელობაზე მიუთითებს ის, რომ ბერზინთან ბრძოლაში ვერაფერი გააწყო უკვე ლეგენდად ქცეულმა ესპანელმა მიგელ ინდურაინმა.

ახლა ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ რამდენად იყო მოულოდნელი ბერზინის ეს წარმატება. წლეულს სეზონის დასაწყისში მან მოიგო პროფესიონალთა ერთდღიანი კლასიკური რბოლა ლიეჟ-ბასტონ-ლიეჟი, ერთი თვის შემდეგ კი თანაკლუბელებთან — მორენო არჟენტინისთან და ჯორჯო ფურლანთან ერთად გუნდური გამარჯვება მოიპოვა ასევე კლასიკურ „ფლეშ ვალონში“. თანაც მას ფურლანთან ერთად არჟენტინის ხელშეწყობა ჰქონდა დავალებული, რასაც წარმატებით გაართვა თავი.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“